



სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო
მინისტრის აპარატი

შერიგებისა და სამოქალაქო
თანასწორობის საკითხებში
სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2017
წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური
აუდიტის ანგარიშის შედეგების შესახებ



13 ივლისი, 2018 წელი

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს
ქალბატონ ქეთევან ციხელაშვილს

ქალბატონო ქეთევან,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.


ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზანს წარმოადგენს, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. აუდიტს წარვმართავდით უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით.

აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, შევისწავლეთ შესაფერისი შიდა კონტროლის მექანიზმები, ასევე შევაფასეთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობა, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა პირობითი მოსაზრება ქვემოთ აღწერილ გარემოებათა გამო.

წარმოგიდგენთ სარეკომენდაციო წერილს, რომელიც ასახავს აუდიტის პროცესში აღმოჩენილ უზუსტობებს, ნაკლოვანებებსა და მათ აღმოსაფხვრელად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

პატივისცემით,


გენერალური აუდიტორი
ერეკლე მექვაბიშვილი

სარჩევი

1. პირობითი მოსაზრების საფუძველი.....	4
1.1 გრძელვადიანი აქტივები	4
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	4
2.1 შრომის ანაზღაურება.....	4
2.2 წარმომადგენლობითი ხარჯები	4
2.3 გაწეული ხარჯიდან მისაღები სარგებელი	5
2.4 დანაკლისები.....	5
2.5 სარეზერვო ფონდები	5

1. პირობითი მოსაზრების საფუძველი

1.1 გრძელვადიანი აქტივები

გამოვლენილი გარემოება

2017 წელს აპარატში არ ჩატარებულა ინვენტარიზაცია, რაც შეუსაბამოა არსებულ რეგულაციებთან¹. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მივიღეთ საკმარისი აუდიტორული რწმუნება ფორმა N1-ში „სხვა მანქანა-დანადგარების“ საბალანსო ანგარიშზე რიცხული 46,709 ლარის და საცნობარო მუხლებში² რიცხული 301,355 ლარის ოდენობის ნაშთის არსებობასა და სისრულეზე.

რეკომენდაცია N1

მინისტრის აპარატმა ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის, მის საკუთრებაში არსებული ქონების დაცვის, არსებობის, სისრულის და მდგომარეობის შესახებ რწმუნების მისაღებად, ყოველწლიურად ჩაატაროს კანონმდებლობით განსაზღვრული სავალდებულო ინვენტარიზაცია, რაც ასევე ხელს შეუწყობს აქტივების არამართლზომიერი გამოყენების რისკების შემცირებას.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 შრომის ანაზღაურება

გამოვლენილი გარემოება

2017 წელს საშტატო რიცხოვნობა განსაზღვრული იყო 31 თანამშრომლით, ფაქტობრივად დასაქმებულთა საშუალო წლიურმა რიცხოვნობამ 26 თანამშრომელი, ხოლო წარმოქმნილმა ეკონომიამ 97,670 ლარი შეადგინა, საიდანაც 36,890 ლარი გაიცა პრემიის, ხოლო 60,670 ლარი დანამატის სახით.

რეკომენდაცია N2

აპარატმა, საბიუჯეტო სახსრების ეფექტურად ხარჯვის მიზნით, განსაზღვროს შტატით მომუშავეთა რეალურად საჭირო რიცხოვნობა, რაც უნდა გაითვალისწინოს საშტატო განრიგის დამტკიცებისა და ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე.

2.2 წარმომადგენლობითი ხარჯები

გამოვლენილი გარემოება

აპარატში წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევისას არ არის დაცული ერთგვაროვანი მიდგომა, ნაწილი ხარჯებისა გაწეულია მინისტრის შესაბამისი ბრძანების გარეშე.

წარმომადგენლობითი ხარჯების საფუძველად მომზადებული მოხსენებითი ბარათები, ხშირ შემთხვევაში სრულად არ ასახავდა მოწვეული სტუმრების ვინაობას, სტატუსს, რაოდენობას, გასაწევი ხარჯის სავარაუდო ოდენობას. შესაფერისი კონტროლის მექანიზმის არ არსებობის გამო, შეზღუდულია საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის გამჭვირვალობა.

რეკომენდაცია N3

აპარატმა, საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად და გამჭვირვალედ ხარჯვის მიზნით, წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებით შეიმუშაოს პირველადი დოკუმენტაციის შედგენის და შემოწმების წესები, სადაც მოცემული იქნება ღონისძიებების შინაარსი და ინფორმაცია დამსწრე პირთა შესახებ (რაოდენობა, ვინაობა, სტატუსი და ა.შ.).

1 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ

2 საცნობარო მუხლი (08), „ამორტიზებული ძირითადი აქტივები“; (10) „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“.

2.3 გაწეული ხარჯიდან მისაღები სარგებელი

გამოვლენილი გარემოება

2017 წელს აპარატმა 37,732 ლარით დააფინანსა პროექტი „დაჩაგრულები“. პროექტის მიხედვით, 2017 წლის 28 აგვისტოსთვისთვის უნდა განხორციელებულიყო 24 ტომისაგან შედგენილი „კომიქსების“ შექმნა და დაბეჭდვა. თუმცა ხელშეკრულების პირობებში არ ყოფილა დაკონკრეტებული კომიქსების დაბეჭდვასთან დაკავშირებული დეტალები, კერძოდ დაბეჭდილი კომიქსების ტირაჟი და გავრცელების პირობები. მიუხედავად იმისა, რომ კომიქსები შეიქმნა არ მომხდარა მისი ბეჭდვა, ასევე არც 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით არის გათვალისწინებული აღნიშნული კომიქსების ბეჭდვის ხარჯი. შესაბამისად, 2017 წლის განმავლობაში 37,732 ლარის ოდენობის ხარჯს რაიმე შედეგი ჯერ არ მოუტანია, რაც მიუთითებს ფინანსების მართვისას „დროში ფულის ღირებულების“ (Future Value) პრინციპის უგულებელყოფას.

რეკომენდაცია N4

აპარატმა, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის რაციონალობისა და ეფექტიანობის პრინციპის უზრუნველსაყოფად, ხარჯის გაწევამდე ჩაატაროს სათანადო დაგეგმვის პროცედურები და წინასწარ განსაზღვროს გასაწევი ხარჯიდან მისაღები შედეგი და ეკონომიკური სარგებელი.

2.4 დანაკლისები

გამოვლენილი გარემოება

2011 წლიდან საბალანსო ნაშთზე („მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“) დანაკლისად ირიცხება ჯამურად 1,468 ლარი, რაც წარმოადგენს ლეპტოპისა და მობილური ტელეფონის თანხას. აპარატს დანაკლისის მიღების მიზნით არავითარი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიება არ გაუტარებია.

რეკომენდაცია N5

აპარატმა, სახელმწიფო ქონების ეფექტურად განკარგვის მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოახდინოს ანგარიშვალდებული პირის იდენტიფიცირება და მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით რეაგირება, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, მისი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული პროცედურების განხორციელება.

2.5 სარეზერვო ფონდები

გამოვლენილი გარემოება

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად³.

2017 წელს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მთავრობის განკარგულებით⁴, გამოეყო დაფინანსება არაქართულენოვან გაზეთებს (სომხურენოვანი „ვრასტანი“ და აზერბაიჯანულენოვანი „გურჯისტანი“), თითოეულს 60,000 ლარის ოდენობით. აპარატის მიერ აღნიშნული გაზეთები 2014 წლიდან სისტემატიურად ფინანსდება მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, რაც არ წარმოადგენს გაუთვალისწინებელ გადასახდელებს და დაფინანსების გათვალისწინება შესაძლებელია მომხადრიყო ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე.

³ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 28-ე მუხლის მე-2-ე პუნქტი

⁴ მთავრობის 2017 წლის 31 მარტის N631 განკარგულება

რეკომენდაცია N6

საბიუჯეტო სახსრების ეფექტური და რაციონალური ხარჯვის მიზნით, აპარატის მიერ მოხდეს წლის განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებებისა და შესაბამისი ასიგნებების ოდენობების დროული განსაზღვრა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სარეზერვო ფონდიდან ისეთი დანახარჯების დაფინანსება, რომელთა გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე იქნება შესაძლებელი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE